

“[Populus] qui dabat olim / imperium, fasces, legiones, omnia, nunc se / continet atque duas tantum res anxius optat, / panem et circenses.” - Juvenal, Satire X.¹

„[ხალხი], ის ვინც უწინ ძალაუფლებას, უმაღლეს თანამდებობებს, ლეგიონებს - ყოველივეს აფუძნებდა, შემოძარცვული სურვილების ამარა დარჩენილი მხოლოდ ორ რამეს ელის მღელვარებით - პურსა და სანახაობას.“ - იუვენალი,² მე-10 სატირა.

ძალაუფლების საკითხი მართლმსაჯულების სისტემაში

შესავალი

სასამართლო სისტემის ჩაკეტილობა, ელიტებისადმი ლოიალობა და პოლიტიკური დაკვეთების შესრულება, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თითქმის ყოველთვის გამოწვევას წარმოადგენდა. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წარმოჩინდა, როცა სასამართლოზე ხელისუფლების გავლენები აშკარა და ინტენსიური იყო.³ მიუხედავად იმისა, რომ 2004-2012 წლებში სასამართლო სისტემაში დაიძლია ისეთი პრობლემები, როგორცაა, მაგალითად ქრთამის აღება, ამასთანავე გაიზარდა სისტემაზე მმართველი პოლიტიკური კლასის გავლენები, თავად სასამართლოს შიგნით კი თანდათანობით ჩამოყალიბდა მოსამართლეთა დომინანტური ჯგუფი, რომელიც პოლიტიკური ინტერესების გამტარი იყო.⁴ ამის დასადასტურებლად საკმარისია თუნდაც ერთი მაგალითის მოხმობა, როცა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, თავის განჩინებაში (2011) „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ,“ აღნიშნა: „სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებები - შსს, გამოძიების საწყის სტადიაზე დაშვებული დარღვევებით; პროკურატურა, გამოძიების შემდგომ ეტაპზე დაშვებული სხვა დარღვევებით; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მსჯავრდებულების ერთ საკანში უკანონოდ მოთავსებით; შიდა სასამართლოები, არასრულფასოვანი სასამართლო განხილვებითა და მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლებით; საქართველოს პრეზიდენტი, მსჯავრდებულების მიმართ გაუმართლებელი ლმობიერების გამოვლენით, და ა.შ. - ყველა ერთად, ხმაშეწყობილად მოქმედებდა იმ მიზნისათვის, რომ ამ შემზარავი მკვლელობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება.“⁵

¹ Meaning and origin of the phrase ‘Bread and Circuses,’ ხელმისაწვდომია: <https://wordhistories.net/2018/09/01/bread-circuses-origin/>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

² რომელი პოეტი, I-II სს, ხელმისაწვდომია: <https://spartacus-educational.com/ROMjuvenal.htm>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

³ ოლღა შერმადინი და თამთა კახიძე, კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბილისი, 2018, გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption_risks-geo_1.pdf, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

⁴ კახა წიქარიშვილი, კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე, 2019, გვ. 1, ხელმისაწვდომია: <https://article42.ge/media/1001447/2019/04/22/2853cf2c9d2199d8311b47b2e4b27cce.pdf>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ,“ სტრასბურგი, 2011, პარაგრაფი 276, გვ. 69, ხელმისაწვდომია:

2004-2012 წლებში მართლმსაჯულების ხარვეზები არ იყო ფრაგმენტული, ის სისტემურ პრობლემებს ავლენდა. 2011 წლისთვის, საქართველო პატიმართა პროცენტული წილით მსოფლიოში მეოთხე ადგილს იკავებდა; საქმეთა მხოლოდ 0.1% სრულდებოდა გამამართლებელი განაჩენით; საპროცესო შეთანხმებები მასშტაბურად ბოროტად გამოიყენებოდა; გადაწყვეტილებები იშვიათად იყო სათანადოდ დასაბუთებული და, მთლიანობაში, სასამართლო ხელისუფლება დომინანტური პოლიტიკური ინსტიტუტების ნების კარნახით ფუნქციონირებდა.⁶ მართლმსაჯულების სფეროში არსებული სისტემური უსამართლობა და ჩაგვრის პრაქტიკები შეეხო როგორც უამრავ რიგით ადამიანს, ასევე მმართველი ძალის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ ჯგუფებს.⁷

2012 წელს, ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდგომ, დღის წესრიგში სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმირების აუცილებლობა იდგა. მმართველი პოლიტიკური გუნდის გაცხადებულ მიზანს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლება წარმოადგენდა.⁸ ამ მხრივ, პარტია „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, რამდენიმე ვრცელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმა განხორციელდა, ასევე მოსამართლეთა კორპუსის უდიდესი ნაწილი ხელახლა გადაინიშნა თანამდებობებზე.⁹ გასული წლის ბოლოს კი, უზენაეს სასამართლოში დამატებით 14 წევრი დაინიშნა.¹⁰

მთელი ამ ხნის განმავლობაში, როგორც ქართული საზოგადოება,¹¹ ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები და დაინტერესებული მხარეები, სასამართლო სისტემაში გავლენიანი ჯგუფის, ე.წ. „კლანის“ არსებობაზე მიუთითებდნენ,¹² ე.ი. მათზე, ვინც საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური მოსამართლეების ნების ფორმირებაზე ზემოქმედებს, ფლობს მნიშვნელოვან თანამდებობებსა და ძალაუფლებას, აქტიური კავშირები აქვს დომინანტურ

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/enukidze%20da%20girgvlani.pdf>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

⁶ ჰოვარდ ვერნი, გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივები საქართველოში, 2017, გვ. 7, ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/files/2017/Publications/ICTJ_Report_Georgia_2017_GEO.pdf, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

⁷ თომას ჰამარბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში, 2013, გვ. 7-8, ხელმისაწვდომია: http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/8987288_38635_607369_Hammarbergreport-getm.pdf, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

⁸ ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი და სხვები, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თბილისი, 2017, გვ. 11, ხელმისაწვდომია: <http://coalition.ge/files/> .pdf, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

⁹ ოლა შერმადინი და თამთა კახიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

¹⁰ როგორ დაკომპლექტდა უზენაესი სასამართლო - მოკლე მიმოხილვა, EMC, 2019, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/uzenaesi-sasamartlos-dakomplektebis-erttsliani-protsesi-mimokhilva>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

¹¹ ოლა შერმადინი და თამთა კახიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

¹² იხილეთ, მაგალითად: სასამართლოზე ზეწოლა და “მოსამართლეთა კლანი” სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/348442/>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

პოლიტიკურ ელიტასთან და ა.შ. ამის საპირისპიროდ, მმართველი ძალის პოლიტიკური ნარატივი მყარად დგას სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობის მითითებაზე (განსაკუთრებით 2015 წლიდან). სასამართლოს დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა ხშირად წარმოჩინდება, როგორც ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი.

მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის საკითხის თეორიულ გააზრებას, და უფრო კონკრეტულად ამ თემის ანალიზს ტრანსფორმაციული პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად ეს საკითხი ძალზე ტექნიკურ, ფორმალურ-სამართლებრივ დისკურსში ექცევა, რის გამოც ბუნდოვანი ხდება მართლმსაჯულების სფეროში არსებული პრობლემების სისტემური საფუძვლები და რთულდება მათი მოგვარების გზების დასახვა.

წინამდებარე სტატია არის მცდელობა, მართლმსაჯულების სისტემაში კლანის ფორმირების ფართო პოლიტიკური, თეორიული გააზრება მოხდეს. კერძოდ, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს, დგას თუ არა სასამართლო დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის კუთხით სისტემური გამოწვევების წინაშე; რა პოლიტიკურ მოცემულობაში იქმნებიან „კლანის“ მსგავსი დომინანტური ჯგუფები; არის მისი არსებობა შემთხვევითობა, თუ ის ბოლო დროის საქართველოს ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ლოგიკური შედეგია; აშიშვლებს თუ არა არსებული სისტემა უფრო ღრმა პოლიტიკურ პრობლემებს და საჭიროებს თუ არა ის რადიკალურ ტრანსფორმაციას.

სტატიაში უპირველესად აღიწერება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის შინაარსი, მისი თეორიული ასპექტები. მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და გამლიერების პოლიტიკური დისკურსის სავარაუდო მიზნებს ტრანსფორმაციულ ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებში. თეორიული ჩარჩოს მოხაზვის შემდეგ, ის დაუკავშირდება საქართველოში სასამართლო ხელისუფლების მდგომარეობას, მისი განვითარების კონტექსტს, რაც შესაძლებლობას მოგვცეს დავინახოთ მართლმსაჯულების სისტემის ფუნდამენტური პრობლემები ფართო პოლიტიკურ-სამართლებრივი პერსპექტივიდან.

სასამართლოს დამოუკიდებლობის შინაარსი

ძირითადი თეორიული მიდგომები სასამართლო შტოს დამოუკიდებლობას (ფართო გაგებით) სამი განზომილებით განსაზღვრავენ, ესენია: ავტონომია, ანგარიშვალდებულება და ძალაუფლება.¹³

„ძალაუფლება“ სასამართლოს, როგორც მთელის (ინსტიტუციის), მოქმედების სფეროსა და ბუნებას განსაზღვრავს. ის გულისხმობს, რომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობები და ბერკეტები, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში. ეს უმთავრესად ინსტიტუციურ და

¹³ Daniel M. Brinks and Abby Blass, Rethinking judicial empowerment: The new foundations of constitutional justice, 2017, p. 297.

კომპეტენციურ სიძლიერეს და მისგან მომდინარე ფართო პოტენციურ შესაძლებლობებს გულისხმობს, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას შტოებს შორის ურთიერთობის პროცესში თუ სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას, ძლიერ და ავტორიტეტულ სტრუქტურად აქცევს. ამიტომ, ძალაუფლების ეს გაგება, ზოგიერთ ავტორთან, დამოუკიდებლობის (ვიწრო გაგებით) სინონიმადაც გამოიყენება.¹⁴

„ანგარიშვალდებულებას,“ სასამართლო ხელისუფლების კონტექსტში, არ აქვს იგივე შინაარსი, რაც, მაგალითად, მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის მიმართ. ამ შემთხვევაში, ეს ტერმინი სასამართლო სისტემის საზოგადოების წინაშე და მისგან მომდინარე პასუხისმგებლობას უნდა გულისხმობდეს, რამაც ის ჩაკეტილ, კორპორატიულ ინსტიტუტად ქცევისგან უნდა დააზღვიოს. მსგავს მიმართებას ავითარებს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) თავის ერთ-ერთ ანგარიშში, სადაც ის მიუთითებს, რომ „საჯარო ორგანო ანგარიშვალდებულია, თუ ის საკუთარ ქმედებებს განმარტავს და მათზე პასუხისმგებლობას იღებს.“ CCJE იქვე მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების სისტემის კონტექსტში ანგარიშვალდებულება არ გულისხმობს მის დაქვემდებარებულობას (სუბორდინაციას) რომელიმე სხვა ხელისუფლების შტოს წინაშე. სასამართლო, ხელისუფლების დანარჩენი შტოების მსგავსად, საჯარო სამსახურის მიმწოდებელია, მისი ძალაუფლება კი კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ამდენად, აქსიომაა, რომ ის ანგარიშვალდებულია ხალხის ინტერესების წინაშე, ხოლო მისი პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და ფართო საზოგადოების მიმართ, სწორედ აქედან არის ნაწარმოები.¹⁵ ანგარიშვალდებულების ეს გაგება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია „ფუნქციური ლეგიტიმაციის“ (functional legitimacy) კონცეფციასთან.¹⁶

მეტად კომპლექსური შინაარსი აქვს ტერმინს „ავტონომია.“ ზოგადი განმარტებით, ის ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება და მოიცავს, ერთი მხრივ, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების დროს (*ex ante* autonomy), მეორე მხრივ კი, მოსამართლის საქმიანობის პროცესში (*ex post* autonomy), სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან არასათანადო ზეგავლენის განხორციელების გამორიცხვას.¹⁷ თუკი პირველ შემთხვევაში ავტონომიის უზრუნველყოფა კონსენსუსზე ორიენტირებული და დელიბერაციული პროცესით, სხვადასხვა პოლიტიკური აქტორების თანამშრომლობით უნდა მოხდეს,¹⁸ მეორე შემთხვევაში ავტონომიის შინაარსი ინდივიდუალური მოსამართლეებისა და ზოგადად მოსამართლეთა კორპუსის ნების ფორმირებაზე, მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე საზოგადოების დომინანტური, ძალაუფლების (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური) მქონე ნაწილების გავლენების შემცირებით მიიღწევა.¹⁹ ამ საკითხს განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც ერთ-ერთი მკვლევარი, რეიჩელ ბოუენი (Rachel E. Bowen) აღნიშნავს, მოსამართლეთა დაცულობა გავლენიანი ჯგუფებისგან გადამწყვეტია რიგითი ადამიანებისთვის

¹⁴ Rachel E. Bowen, *Judicial Autonomy in Central America: A Typological Approach*, 2013, p. 833.

¹⁵ იქვე, p. 8.

¹⁶ იქვე, p. 7.

¹⁷ Daniel M. Brinks and Abby Blass, *დასახელებული სტატია*, p. 297.

¹⁸ იქვე, p. 308.

¹⁹ Rachel E. Bowen, *დასახელებული სტატია*, p. 831.

სამართლიანობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მიღწევის გზაზე.²⁰ ის მართლმსაჯულებას განიხილავს „დემოკრატიის განვრცობის“ კონტექსტში, როგორც „დაპირებას თანასწორობის მიღწევისთვის.“²¹ ამ მიზნებისთვის კი ავტონომიურობის ცნება დამატებით შინაარსს იძენს, გამორიცხავს რა მას საზოგადოებისგან დაშორებულ, კორპორატიულ და განცალკევებულ, მონოლითურ ერთობად ქცევისგან.

ზემოთ განხილული კომპონენტების მხედველობაში მიღებით, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის, ავტონომიურობისა და ძალაუფლების შინაარსი არ შეიძლება გავიგოთ იზოლაციონისტურად. სახელმწიფოში არც ერთი სტრუქტურა და ხელისუფლების არც ერთი შტო არ შეიძლება იყოს სრულად დაცლილი როგორც ერთმანეთთან კავშირებისგან, ასევე საზოგადოებაში არსებული სოციალური და კულტურული მსაზღვრელებისგან.²² როგორც ნათქვამია, „არავინ არის კუნძული, აღსავსე საკუთარი თავით.“²³

ესპანელი მკვლევარი პილარ დომინგო (Pilar Domingo) საუბრობს სასამართლოს „პოლიტიკური ავტონომიის“ კრიზისზე, როგორც მოცემულობაზე, როცა მოსამართლეები თანამშრომლობენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძლიერ აქტორებთან, ამ უკანასკნელთათვის სასურველი შედეგების დადგომისათვის.²⁴ ამ ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოა დომინგოს კითხვა, თუ ვისგან უნდა იყვნენ მოსამართლეები დამოუკიდებლები/ავტონომიურები?! ხშირად ამ კითხვაზე პასუხად დამოუკიდებლობის ვიწრო, ხელისუფლების შტოებსშორისი ურთიერთმიმართება წარმოჩინდება და ის ფორმალიზებულად განიხილება. ამის საპირისპიროდ, მრავალი მეცნიერისთვის, ავტონომიის რეალური შინაარსის გაგებისთვის მნიშვნელოვანია ფართო პოლიტიკური კონტექსტისა და ისეთი ჯგუფების მხედველობაში მიღება, როგორებიცაა სასამართლოს შიგნით მაღალი პოზიციებისა თუ გავლენების მქონე მოსამართლეები, პრესა, ფორმალური სახელისუფლებო ძალაუფლების მიღმა მყოფი დომინანტური ჯგუფები და სხვა.²⁵

სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის პოლიტიკური ნარატივი

მსოფლიოს გარშემო, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, პოლიტიკური ნარატივი ხშირად კონცენტრირდებოდა სასამართლოს ძალაუფლებით აღჭურვასა (judicial empowerment) და პოლიტიკურ, საზოგადოებრივ პროცესებში მართლმსაჯულების ძლიერი, ავტონომიური როლის დაფუძნებაზე (judicialization of politics ან judicial politics).²⁶ ეს საკითხი

²⁰ იქვე, p. 835.

²¹ იქვე.

²² Consultative Council of European Judges (CCJE), "The position of the judiciary and its relation with the other powers of state in a modern democracy," 2015, p. 5, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807481a1>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

²³ ფრაზა ჯონ დონის (John Donne) ლექსიდან. ამ კონტექსტში გამოყენებულია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ, p. 5, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16807481a1>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

²⁴ Rachel E. Bowen, დასახელებული სტატია, pp. 832-833.

²⁵ იქვე, pp. 833-834.

²⁶ იქვე, p. 834.

თავის მხრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიული გარდაქმნების, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების პროცესში მყოფ სახელმწიფოებთან და ზოგადად, პოლიტიკის ტრანსფორმაციულ ეტაპებთან.

თანამედროვე, გაბატონებულ წესრიგში, მართლმსაჯულების მოდელები ორ ძირითად კონცეფციას ეფუძნება. პირველი, „ძალაუფლების გამიჯვნის“ თეორიაა და ის აშშ-დან იღებს სათავეს. მეორეს „აღმასრულებლის დომინირების“ მოდელს უწოდებენ. ეს ორი თეორია თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, ბევრი მნიშვნელოვანი ნაკლი საერთო აქვთ. მაგალითად, ორივე ამ მოდელისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შტოებსშორის და ინსტიტუტებსშორის ურთიერთობებს (რასაც ვიწრო გაგებით დამოუკიდებლობას უწოდებენ), თუმცა იგნორირებულია ავტონომიის, ე.ი. ხელისუფლების შტოებს მიღმა არსებული აქტორების ძალაუფლებისა და ზეგავლენების საკითხი.²⁷

ამ ზოგადი დაყოფის მიღმა, მართლმსაჯულების არსებული, დომინანტური სისტემების თეორეტიზება ხშირად სხვადასხვა „რეჟიმების“ სახელებით ხდება, როგორებიცაა ლიბერალური; მიკერძოებული მართლმსაჯულების; ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული; თუ ე.წ. ფარული მართლმსაჯულების მოდელები.²⁸ ამ ტიპის უფრო დავიწროვებული დაყოფის მიზანია მხედველობაში მიიღოს როგორც დამოუკიდებლობის, ასევე ავტონომიის საკითხები.

ლიბერალური რეჟიმის კლასიკური ნიმუში ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელიც ძალაუფლების ხისტი გამიჯვნის იდეაზე დგას. ამ სისტემაში სასამართლოს ძლიერი ავტონომიური როლი გააჩნია, რაც დიდწილად ქვეყნის სამართლებრივი და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით აიხსნება. უფრო ფართო სურათში, ლიბერალურ რეჟიმებად თვლიან იმ სისტემებს, რომლებსაც ახასიათებთ განსაკუთრებით მაღალი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, სადაც სასამართლოს ფუნქციონირების მომწესრიგებელი ნორმები იშვიათად იცვლება (დიდწილად მათი კონსტიტუციური მნიშვნელობის გამო) და შედარებით ლიმიტირებულია მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობები.²⁹

აღმასრულებლის კონტროლს დაქვემდებარებულ მოდელში მართლმსაჯულების სისტემა, ფორმალური თვალსაზრისით, გარკვეულწილად შეზღუდულია აღმასრულებელ შტოსთან და არსებობს სპეციფიკური ტიპის დავების (მაგალითად საქმეები, რომლებიც გავლენას ახდენს სამხედრო ან სამთავრობო საკითხებზე) ორდინალურად განხილვისგან გამორიცხვის შესაძლებლობები (მაგალითად, შესაძლოა არსებობდეს სპეციალური სასამართლოები). ამდენად, ამგვარ სისტემაში გაზრდილია მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის რისკებიც, რაც ხშირად ე.წ. „ოფიციალური ძალადობის“ ფორმასაც იღებს.³⁰

ფარული მართლმსაჯულების მთავარი თავისებურება ის არის, რომ ამ დროს მოსამართლეებზე ზეწოლა „არაოფიციალური“ და „დაფარული“ ძალადობრივი გზებით

²⁷ იქვე, p. 831.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, p. 834.

³⁰ იქვე, p. 835.

ხორციელდება. განსახილველ საქმეთა ბედს ის წყვეტს, თუ ვის აქვს ძალაუფლებასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მონოპოლია. ამ რეჟიმის თეორეტიკებისას აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე მეტად, აქ ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების ინტერესები და მათი შესაძლებლობებია წამყვანი.³¹

საკმაოდ სპეციფიკურია ის, რასაც „მიკერძოებული მართლმსაჯულების რეჟიმად“ (partisan judicial regime) მოიხსენიებენ. ამ მოდელის პირობებში, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა (ხელისუფლების სხვა შტოებთან ურთიერთობის ნაწილში) მნიშვნელოვანწილად ლიმიტირებულია პოლიტიკური და ინსტიტუციური აქტორების გავლენით, ხოლო მოსამართლეების ავტონომია სხვადასხვა დომინანტური ჯგუფის ინტერესებით არის გაშუალებული. მიკერძოებული მართლმსაჯულების რეჟიმი მოსამართლეთა დანიშვნის ნაწილში ძლიერი პარტიული გავლენების ფონზე ფუძნდება და სასამართლო კორპუსის კომპლექტაციის პროცესი დიდწილად ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელშია მოქცეული. ამავე გავლენებით, მოსამართლეთა შიდა ავტონომია შეზღუდულია პოლიტიკური დომინაციის მოპოვების მცდელობებში შექმნილი თუ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ინტერესებით. ამ დროს, მოსამართლეები, შესაძლოა, საკმარისი ავტონომიურობითა და დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ ნაკლები პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეების განხილვისას, თუმცა იქ, სადაც საზოგადოების/სახელმწიფოს რომელიმე გავლენიანი ჯგუფების ინტერესი იკვეთება, მართლმსაჯულება ამ ჯგუფებთან „ხმაშეწყობილად მოქმედებს.“³² მართლმსაჯულების სისტემის მდგომარეობის აღმწერი ეს ჩარჩო განსაკუთრებით იმით არის საინტერესო, რომ ის სტატიკური ფაქტების აღწერას არ ცდილობს. სასამართლოს დამოუკიდებლობის/ავტონომიის საკითხი ამ მოდელის პრიზმიდან ქმნის შესაძლებლობას, რომ ის დავინახოთ სასამართლოს გამლიერების დისკურსის, კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიის განვითარებისა და პოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილების კონტექსტში.

ამ მხრივ, საინტერესოა მიდგომა, რომელიც მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის ნარატივს დომინანტური სოციოპოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფების ინტერესს უკავშირებს. რენ ჰირშლი (Ran Hirschl) რამდენიმე ქვეყნის ტრანსფორმაციულ პროცესებზე დაკვირვებით ასკვნის, რომ ხშირად სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის დისკურსით ნაკარნახევი ქმედებები გამიზნული სტრატეგიის ნაწილია, რომელსაც დომინანტური პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტები³³ საკუთარი ჰეგემონიის გამყარებისთვის იყენებენ.³⁴ ელიტები, რომელთაც სამართლებრივ არენაზე გავლენის მოხდენის მძლავრი ბერკეტები აქვთ, იწყებენ სხვადასხვა სახის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებს, რათა ძალაუფლების ნაწილი „გადაისროლონ“ იმ მხარეს, რომელიც ხელისუფლების მიერ პოლიტიკის წარმოებასთან შედარებით ნაკლებად

³¹ იქვე.

³² იქვე, p. 839.

³³ ეს ორი კი, განსაკუთრებით ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, ხშირად ერთმანეთს ემთხვევა.

³⁴ Ran Hirschl, *The Political Origins of Judicial Empowerment through Constitutionalization: Lessons from Four Constitutional Revolutions*, 2000, p. 91.

ექვემდებარება საზოგადოებრივ ზეწოლასა და კონტროლს.³⁵ ხშირად ეს პროცესები დემოკრატიის მეინსტირმიული ნარატივებისა და საბაზრო ეკონომიკის დისკურსის შემადგენელი ნაწილია.³⁶ მსგავსი ტიპის ფართო პოლიტიკური მიმართულებით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ნარატივების წაკითხვა, ძალაუფლებრივ სტრუქტურებთან მისი დაკავშირების შესაძლებლობას ქმნის.³⁷ ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური კლასის მიერ ნაწარმოები ისეთი დისკურსიც კი, როგორც „კანონის უზენაესობა“ (rule of law) და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეფორმები, ხელისუფლების ლეგიტიმაციის სისტემური კრიზისებიდან იღებს სათავეს და მის გადასაფარად იქმნება.³⁸

მაშასადამე, ჰირშლისთვის, ტრანსფორმაციულ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოები, რიგ შემთხვევებში, რამდენიმე დისკურსულ პრაქტიკას შეიძლება მიჰყვებოდნენ. ასეთ დროს, მმართველი კლასი, როგორც წესი, ცდილობს აითვისოს საზოგადოდ მიღებული სოციოეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული თუ სხვა სახის პოლიტიკური ნარატივები. თუმცა, ის რაც ამგვარი ნარატივების ათვისებას პრობლემურს ხდის, უპირველესად ისაა, რომ მისი მიზანი მმართველი კლასის ძალაუფლების გრძელვადიანი დაფუძნებისთვის ნიადაგის მომზადებაა. ჰირშლისთვის მართლმსაჯულება ერთ-ერთი თვალსაჩინო სფეროა, რომელიც შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკური არენის არასტაბილურობისგან გამოწვეული საფრთხეების კომპენსირებისთვის. სასამართლო სისტემის მიმართ არსებული ამგვარი ცდუნება კი რამდენიმე გარემოებით არის გამოწვეული. მათ შორის მნიშვნელოვანია ის, რომ მართლმსაჯულება ნაკლებად ექვემდებარება საზოგადოებრივ ზეწოლასა და კონტროლს. ამასთანავე, ეს ის სფეროა, სადაც გრძელვადიანი კორპორატიული ძალაუფლების შექმნა უფრო მარტივია. პოლიტიკური აქტორები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ჰეგემონურ სოციალურ და ეკონომიკურ ძალებს წარმოადგენენ, ცდილობენ სამართლებრივი სისტემა მათი ინტერესების შესაბამისად გამოძერწონ.³⁹ ამისთვის, აუცილებელი ხდება თანამშრომლობა მართლმსაჯულების ელიტასთან (legal elite), რომელთანაც პოლიტიკურ ელიტას ხშირად მჭიდრო სოციალური კავშირები აქვს.⁴⁰

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჰირშილი ამ ნაწილში პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო მასშტაბურ ტრანსფორმაციულ ეტაპებსა და სამართლებრივი თვალსაზრისით ფართო კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხების კონფიგურაციის ცვლილებას ეხება (მაგ.: აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პირველი ეტაპი), თუმცა მისი თეორიული ჩარჩო კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით სხვა, ნაკლებად მასშტაბურ მოვლენებზე კონტექსტუალიზების შესაძლებლობასაც ქმნის.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე, p. 93.

³⁷ Pilar Domingo, *Novel Appropriations of the Law in the Pursuit of Political and Social Change in Latin America*, 2018, p. 255.

³⁸ იქვე, p. 270.

³⁹ Ran Hirschl, *დასახელებული სტატია*, p. 102.

⁴⁰ იქვე.

საინტერესოა რეიჩელ ბოუენის ნაწილობრივი კრიტიკა ჰირშლის მიმართ. მისი პოზიციით, მხოლოდ „ჰეგემონურობის განმტკიცების“ ჩარჩოს გამოყენება მხედველობის არედან კარგავს ერთ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხს. კერძოდ, როგორ შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, როცა მოსამართლეები საკუთარი დამნიშნავი პოლიტიკური კლასის საწინააღმდეგო სამოსამართლო აქტივიზმით კავდებიან.⁴¹

ჰირშლისა და ბოუენის თვალსაზრისების შეჯერებით, კარგად შეიძლება დავინახოთ მიკერძოებული მართლმსაჯულების პროცესის საფუძვლები და მისი ბუნება. სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის პოლიტიკური ნარატივი ხშირად მმართველი პოლიტიკური კლასის გრძელვადიანი ჰეგემონიის და ძალაუფლების სხვადასხვა აქტორების გზით პრეზერვაციის მიზანს ემსახურება. ამ შემთხვევაში, მას მართლმსაჯულების სისტემის რეალური დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ჩამოყალიბების მიზანი არ აქვს და სასამართლოს ელიტების სამსახურში ტოვებს. ამასთანავე, მერყევი დემოკრატიული პროცესები და პოლიტიკური სცენის ცვლილებები, ძალაუფლების დაფუძნების ამ „იდეალურ ტიპს“ შესაძლოა გარკვეულწილად ცვლიდეს და ელიტური ძალაუფლების სხვადასხვა კერებს ქმნიდეს,⁴² ერთმანეთთან კოოპერაციაში ან მის გარეშე.

პოლიტიკურ ძალთა გადათამაშებების მხედველობაში მიღებით, მიკერძოებული მართლმსაჯულების მოდელი უფრო მეტად პროცესად წარმოჩინდება, ვიდრე რაიმე მყარ თეორიულ და ინსტიტუციონალიზებულ სისტემად. ის თავისი რეალური სახით პარტიული და ზოგადად პოლიტიკური ცვლილებების თანადროულად წარმოჩინდება და თითქმის ყოველთვის პირდაპირ კავშირშია მმართველი პოლიტიკური კლასის მიერ ნაწარმოებ სასამართლოს დამოუკიდებლობის ნარატივებთან და საკანონმდებლო თუ ინსტიტუციურ რეფორმებთან. ამ გაგებით, მთელი ეს პროცესი, დიდწილად პერფორმატიული ბუნებისაა და კონკრეტული დომინანტური ჯგუფების განსაზღვრული სტრატეგიისა და ძალთა გადათამაშებების ნაწილია.

სასამართლოს დამოუკიდებლობის პერფორმატიული შინაარსი, თავის მხრივ, კარგად ეხმიანება იმ ძველ წუხილებს, რომელსაც ჯერ კიდევ I-II საუკუნეების რომაელი პოეტის, იუვენალის ფრაზიდან ვიცნობთ „პური და სანახაობის“ შესახებ. იუვენალი იმ დროის რომაელ პოეტთაგან მცირედს მიეკუთვნებოდა, ვინც ხალხის მასების გასაჭირზე საუბრობდა⁴³ და მიუთითებდა, რომ ძალაუფლების მქონეთა ქმედებები მათივე ინტერესებით იყო ნაკარნახევი. თანამედროვე პოლიტიკური პროცესების აღწერისას, იუვენალის ცნობილი ფრაზა სწორედ ამ კონტექსტში გამოიყენება და ძირითადად აღნიშნავს ამომრჩეველთა განწყობების მოთოკვის ანდა ძალაუფლების განმტკიცების მცდელობებს ხელისუფლების ლეგიტიმაციის კრიზისის დროს ან კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების ზემოთ დასახელებული მოდელები თუ რეჟიმები არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურ ჩარჩოებად. ისინი უფრო მეტად

⁴¹ Rachel E. Bowen, დასახელებული სტატია, p. 834.

⁴² იქვე, p. 840.

⁴³ Juvenal, ხელმისაწვდომია: <https://spartacus-educational.com/ROMjuvenal.htm>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

თანამედროვეობაში არსებულ ზოგიერთ სისტემაზე და პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვების შედეგია და, ამავე დროს, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის პოტენციური შესაძლებლობების გაგებისთვისაა გამოსადეგი. ამდენად, ამ ჩარჩოების მოხმობის მიზანი არა უკეთესი და უარესი მოდელების დადგენა, არამედ საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ანალიზისთვის ერთ-ერთი შესაძლო თეორიული ჩარჩოს შედგენაა, რომელიც კონცენტრირებული იქნება ძალაუფლების, დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ცნებების ირგვლივ.

კლანი

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მართლმსაჯულების ოთხი ფართო საკანონმდებლო რეფორმა, ე.წ. „ტალღები“ განხორციელდა. რეფორმის ტალღების დაწყება ახალი ხელისუფლების უკვე არსებული პოლიტიკური დისკურსისა და დაპირებების შესრულების მცდელობად წარმოჩინდა. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს მართლმსაჯულების სფეროში არსებული სისტემური პრობლემებისა და მძიმე დანაშაულების საპირისპიროდ, სამართლიანობის აღდგენის ნარატივით, „ქართული ოცნება“ საუბრობდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და დეპოლიტიზების მიღწევის მნიშვნელობაზე, ჰუმანური მართლმსაჯულების იდეაზე და სასამართლოს შიგნით კლანური მმართველობის გაქრობის აუცილებლობაზე, რასაც, საბოლოოდ, მართლმსაჯულება ავტონომიურ და ხალხის ინტერესებზე მორგებულ სისტემად უნდა ექცია.

უკვე ამ დროს, ქართული და საერთაშორისო საზოგადოება ერთხმად აღიარებდა, რომ სასამართლოში უსამართლობისა და მანკიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო იქ არსებული დომინანტური ჯგუფი იყო, რომელიც გამორიცხავდა ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობას, სისტემას ჩაკეტილ და კორპორატიულ ინსტიტუტად აქცევდა და მართლმსაჯულების პოლიტიკური გარიგებებისთვის თუ ელიტური ჯგუფების მსახურებისთვის გამოყენებაში მთავარ როლს თამაშობდა. 2012 წლიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, პირველ წლებში სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა და რეფორმის ტალღებმა, დომინანტური ჯგუფის ინტერესები უფრო მკაფიო გახადა, გამოკვეთა მისი კავშირები პოლიტიკურ კლასთან და ამდენად, კლანის ძალაუფლების პოლიტიკური საფუძველები გააშიშვლა.

ის, რასაც „კლანს“ უწოდებენ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირთა ჯგუფია, რომლის მიზანია „მოსამართლეთა კონტროლი სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური მექანიზმებით.“⁴⁴ მასში მოიაზრებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისა და საერთო სასამართლოების სისტემის რამდენიმე გავლენიან ფიგურას⁴⁵ და მათთან დაკავშირებულ ადამიანებს.

⁴⁴ კახა წიქარიშვილი, დასახელებული სტატია, გვ. 1.

⁴⁵ სასამართლოს „კლანი“ თუ ლიდერი მოსამართლეები?, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%A3->

ცხადია, სასამართლოს შიგნით დომინანტური ჯგუფი არ წარმოქმნილა 2012 წელს. პირიქით, იმ ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც კლანის წევრობაში არიან მხილებულები, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებდნენ.⁴⁶ 2004-2012 წლებში სასამართლო სისტემის მმართველი პოლიტიკური პარტიის მიზნებისთვის გამოყენება, როგორც წესი, გავლენიანი ჯგუფის წევრი მოსამართლეების ხელით ხორციელდებოდა.⁴⁷ ეს პერიოდი სასამართლოს ტოტალური კონტროლით ხასიათდებოდა, სასამართლოს შიგნით არსებული გავლენიანი წევრები კი მართლმსაჯულების სისტემაში ხელისუფლების ინტერესების გამტარები იყვნენ.⁴⁸

„ქართული ოცნება“ სწორედ ამგვარ რეალობაში მოვიდა ხელისუფლებაში. მათ მიერ გაცხადებული „სამართლიანობის აღდგენის“ დაპირება შეიძლება გავიგოთ, როგორც „ადამიანის უფლებების დაცვის“, „კანონის უზენაესობის“ და „სასამართლოს დამოუკიდებლობის“ მიღწევის პოლიტიკური ნარატივების ერთიანობა, რომელიც წარსულის მძიმე დარღვევებზე რეფლექსიის პროცესში ჩამოყალიბდა.

ხელისუფლების ეს დისკურსი თავისთავად მოიაზრებდა მართლმსაჯულების სისტემაში უკვე ჩამოყალიბებულ დომინანტურ ჯგუფთან და იდეებთან დაპირისპირებას. მაგალითად, 2012 წლის დეკემბერში, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ სასამართლოს გამამართლებელი განაჩენების საპასუხოდ აღნიშნავდა: „საზოგადოებამ კარგად უნდა გაიგოს, რომ ამ ხალხს ათავისუფლებს კუბლაშვილის სასამართლო და არა პროკურატურა!“⁴⁹ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე განხორციელდა სასამართლო რეფორმის პირველი ტალღა (2013 წლის პირველი მაისი), რომელიც ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯი იყო მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებისთვის. კერძოდ, დაიწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზების პროცესი, შემცირდა კონკრეტული ინსტიტუტების (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე) ხელში თავმოყრილი გაუმართლებლად დიდი ძალაუფლება, გაიზარდა სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა და მოსამართლეთა თვითმმართველობის

<https://www.monitori.ge/%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-/29681753.html>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁴⁶ სტუდია მონიტორის ფილმი „ჩინჩალაძის კლანი – სასამართლო რეფორმის კრაზი“, 2018, 16:00 წუთიდან, ხელმისაწვდომია:

<https://monitori.ge/%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90/>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁴⁷ ოლა შერმადინი და თამთა კახიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

⁴⁸ ვრცლად იხ.: კახა წიქარიშვილი, დასახელებული სტატია, გვ. 3-5.

⁴⁹ ოცნების სასამართლოს ანატომია, ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/ge/blog/ocnebis-sasamartlos-anatomia>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

როლი.⁵⁰ ცვლილებების თანახმად, მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრიდან 7 ახალი მოსამართლე წევრი, მათ შორის საბჭოს მდივანი უნდა აერჩიათ.⁵¹

2013 წლის მაისში, იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა დააანონსა, რომელიც 2004-2012 წლებში მოსამართლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს შეისწავლიდა, რასაც შეიძლება მათი დისციპლინური პასუხისმგებლობა მოჰყოლოდა.⁵² ამის თანადროულად ფუმნდება მოსამართლეთა ალტერნატიული ჯგუფი, „მოსამართლეთა ერთობა,“ სადაც 50-მდე მოსამართლე გაერთიანდა და რომელიც სასამართლო სისტემაში კრიტიკულ და განსხვავებულ აზრებს აქდერებდა⁵³ (მოსამართლეთა ერთობის პრეზენტაციას დაესწრო თეა წულუკიანიც, რაც ჯგუფისთვის მხარდაჭერის გამოცხადებას ნიშნავდა). ამავე პერიოდში, ხელისუფლების მხრიდან, ერთი მხრივ რბილი და დიპლომატიური ნაბიჯები იდგმებოდა,⁵⁴ მეორე მხრივ კი ფიქსირდებოდა იმ ადამიანებთან კავშირების დამყარების ფაქტები, რომლებიც სასამართლოს დომინანტურ ჯგუფთან დაკავშირებულად ითვლებოდნენ და ითვლებიან.⁵⁵

ზემოთ განხილული და სხვა მსგავსი მოვლენები⁵⁶ ნათლად აჩვენებს, რომ ახალი ხელისუფლების მიერ სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის პოლიტიკური ნარატივი

⁵⁰ ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

⁵¹ ოცნების სასამართლოს ანატომია, ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/ge/blog/ocnebis-sasamartlos-anatomia>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁵² ამონარიდი თეა წულუკიანის ინტერვიუდან, საბჭოს არჩევნებამდე 3 დღით ადრე: „ეს იქნება დროებითი სამთავრობო კომისია, რომელიც შეისწავლის 2004-2012 წლებში გამოტანილ სისხლის სამართლის განაჩენებიდან ზოგიერთს და დაადგენს, იყო თუ არა მოსამართლის მიერ შეცდომა დაშვებული [...] თქვენ იცით, რომ 9 ივნისს იქნება მოსამართლეთა კონფერენცია, სადაც უნდა აირჩიონ იუსტიციის საბჭოს წევრები. მოსამართლეებს ეძლევათ ისტორიული შანსი, გათავისუფლდნენ როგორც კუბლაშვილის, ასევე მეიშვილის, ჩინჩალაძის, ანუ ხელმძღვანელობის დიქტატისგან. [...] ამის შემდეგ, იუსტიციის საბჭოს ახალ შემადგენლობასთან ერთად ჩვენ დავიწყებთ სადისციპლინო პროცედურების რეფორმას. სამომავლოდ, თუ ხარვეზების კომისია ამა თუ იმ ძალაში შესულ განაჩენზე დაადგენს სამართლებრივ ხარვეზს და ამას დაამტკიცებს სასამართლოც, შემდგომ სწორედ სადისციპლინო კოლეგიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არის თუ არა ღირსი მოსამართლეობისა ის ადამიანი, ვინც ეს ხარვეზი დაუშვა.“ ოლა შერმადინი და თამთა კახიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 22.

⁵³ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ „მოსამართლეთა ერთობის“ თავმჯდომარეს, მაია ბაქრაძეს, სწორედ კრიტიკული პოზიციონირების გამო ეთქვა უარი მოსამართლედ ხელმეორედ დანიშნაზე. ეს საქმე გასაჩივრებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/maia-bakradzis-sakmeze-emc-m-evrosasamartlos-mimarta>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁵⁴ მაგალითად, იხილეთ ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა კონსტანტინე კუბლაშვილთან და შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადება, სადაც ის ხელისუფლებისა და იმჟამინდელი სასამართლო სისტემის საერთო ინტერესებზე საუბრობს. ხელმისაწვდომია: http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=269&info_id=36247&lang_id=GEO, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁵⁵ მაგალითად, 2013 წლის დასაწყისში, „ქართული ოცნების“ ამჟამინდელი დეპუტატი და მოსამართლეთა კლანთან დაახლოებული პირი, ვანო ზარდიაშვილი გენერალური აუდიტორის პირველ მოადგილედ დაინიშნა. ოცნების სასამართლოს ანატომია, ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/ge/blog/ocnebis-sasamartlos-anatomia>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁵⁶ ძირითადი მოვლენების ქრონოლოგია იხ.: ოცნების სასამართლოს ანატომია, ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/ge/blog/ocnebis-sasamartlos-anatomia>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

წარმატებით ითავსებდა რამდენიმე ასპექტს. მისი შემადგენელი ნაწილი იყო დემოკრატიული, ჯანსაღი ინსტიტუციური რეფორმები და ამ გზით კლანის ძალაუფლების შესუსტების მცდელობები. მის ფარგლებშივე შეიქმნა სივრცე ხისტი პოლიტიკური დაპირისპირების წარმოებისთვის. თუმცა, პარადოქსულად, მან ასევე მოიცვა კლანის წევრებთან მოლაპარაკებებისა და მათთან ურთიერთობისთვის გარკვეული ნიადაგის შემზადების რესურსიც. შესაბამისად, ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები მკვეთრად ამბივალენტური ბუნების იყო, თუმცა, მთლიანობაში, როგორც სხვადასხვაგვარი სტრატეგიების ნაზავი, ის ძალაუფლებისთვის ბრძოლისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მიღწევის ნარატივის პერფორმატიული ბუნების თვალსაჩინო ილუსტრაციაა.

ამგვარ რეალობაში გაიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. „მოსამართლეთა ერთობამ“ ვერ შეძლო ვერც ერთი კანდიდატის გაყვანა - იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე წევრების ვაკანსია კლანმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა დაიკავეს,⁵⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად კი ლევან მურუსიძე დაინიშნა.⁵⁸ ამ ეტაპმა გამოაშკარავა პოლიტიკური ტრანსფორმაციის ეტაპზე მყოფ ქვეყანაში ძალაუფლების ამ ორი ველის ჭიდილი. სასამართლოს შიდა გავლენიანმა ჯგუფმა და მოსამართლეთა კორპუსის დიდმა ნაწილმა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მოახერხა იმ კორპორატიული ერთობის დემონსტრირება, რომელიც წლების განმავლობაში ძალაუფლებრივ სტრუქტურებთან კოლაბორაციაში ყოფნის მეშვეობით გამოიწრო.⁵⁹

კლანის ძალაუფლების დემონსტრირების შემდეგ, ხელისუფლება 2015-2016 წლამდე, ჯერ კიდევ ავლენდა დაპირისპირების ნიშნების კლანის წევრებთან. მაგალითად, 2013-2014 წლებში, მწვავე დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პარლამენტის მიერ 2013 წლის ივნისში დანიშნულ არამოსამართლე და საბჭოს სხვა

⁵⁷ გარდა მოსამართლეთა დომინანტური ჯგუფის გავლენებისა, ამ ფაქტს ხსნიან ისეც, რომ ხელისუფლების ხისტმა ნაბიჯებმა მოსამართლეთა კორპუსს თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე მოქმედებისკენ უბიძგა. მაგალითად, ერთ-ერთი ყოფილი მოსამართლე აღნიშნავს: „2012 წელს მოსულმა ხელისუფლებამ თავდაპირველად დიდი შეტევა განახორციელა სასამართლოზე, რის შედეგადაც სასამართლო სისტემა ფაქტობრივად იძულებული გახდა რაღაც ფორმით რაღაც ჯგუფის ირგვლივ შეკრებილიყო. ხელისუფლების მხრიდან ხდებოდა უაპელაციოდ მოსამართლეებისთვის იარლიყების მიკერება, ვინც მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა იყო „ნაციონალი“ და ა.შ. ძირითადად, იუსტიციის მინისტრის მხრიდან იყო ეს ყველაფერი. ამ მოსამართლეებს არ უნდოდათ გახმაურებული საქმეების განხილვა, რადგან იცოდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში მათი ბიოგრაფია კიდევ ერთხელ ამოიწეოდა და ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ასეთმა მდგომარეობამ არასწორად შეკრა სასამართლო სისტემა, რადგან იმ სიტუაციაში ხელისუფლების მხარეს დგომა გამოიწვევდა, ფაქტობრივად, სასამართლო სისტემის ნგრევას.“ ოლა შერმადინი და თამთა კახიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 24.

⁵⁸ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად ლევან მურუსიძე აირჩიეს, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/22838/>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁵⁹ იმ დროს მიმდინარე მოვლენების შესახებ დეტალურად იხილეთ.: სასამართლო 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/blog/sasamartlo-1-oktombris-archevnebis-shemdeg#a6>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

(კლანის) წევრებს შორის;⁶⁰ დაიწყო მესამე ტალღის რეფორმა (რომელსაც, პირველადი ვერსიების მიხედვით, კლანის ძალაუფლების მნიშვნელოვნად შემცირება შეეძლო) და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძე აირჩიეს (2015).⁶¹

თუმცა, ამ პროცესებთან ერთად, კლანთან უფრო აქტიური თანამშრომლობის პროცესი დაიწყო. მაგალითად, იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალარჩეულ მდივანს, ლევან მურუსიძეს ორჯერ ხვდება. მეორე შეხვედრის შემდგომ წარმოთქვამს ის თავის ცნობილ ფრაზას: „*მე აღმოვაჩინე ამ ახალგაზრდაში, ხანგრძლივი საუბრის შემდგომ, რომ ის განწყობილია ისე როგორც მე, მკვეთრად, რომ ყოველგვარი გავლენისაგან გაათავისუფლოს სასამართლო... მე კიდევ ერთხელ ვერ ვმალავ ჩემს ემოციებს და ვრწმუნდები, რომ სასამართლოში არის ხალხი, და აი ვნახე კაცი, რომელიც ნამდვილად პასუხისმგებლობას იკისრებს იმისთვის, რომ სასამართლო იყოს მომავალში სამართლიანი და სასამართლოს ჰქონდეს პრესტიჟი და ნდობა მოსახლეობისგან.*“⁶² 2013 წლის ნოემბერში ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ უვადოდ გადაიდო მართლმსაჯულების დამდგენი კომისიის შექმნა; ამავდროულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პირადად ლევან მურუსიძის ჩართულობით განხორციელდა რეფორმების მეორე ტალღა, რომლის შედეგად იყო მოსამართლეთა 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესება, რამაც მოსამართლეთა კორპუსი კიდევ უფრო მოწყვლადი გახადა გარე და შიდა გავლენების მიმართ.⁶³

კლანსა და ხელისუფლებას შორის ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპად აღბათ ნინო გვენეტაძის გარშემო განვითარებული მოვლენები უნდა ჩაითვალოს. ის 1999-2005 წლებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო, რომელიც 2005 წელს, დისციპლინური გადაცდომის მოტივით გაათავისუფლეს. მაშინ ნინო გვენეტაძე აღნიშნავდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ზეწოლის მსხვერპლი იყო.⁶⁴ ნინო გვენეტაძის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნით ცხადი იყო, რომ ის კლანთან დაპირისპირებული იქნებოდა. ეს გამოვლინდა კიდევ მის ინიციატივებში მესამე ტალღის განხორციელების დროს. ამ რეფორმის პროცესში, ხელისუფლებამ, საბოლოოდ, კლანის და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დეპუტატის, ვანო ზარდიაშვილის მხარე დაიჭირა, რითაც

⁶⁰ ოლაა შერმადინი და თამთა კახიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.

⁶¹ გაჭიანურებული სასამართლო რეფორმა და თანმდევნი პოლიტიკური პროცესები, EMC, 2016, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/gachianurebuli-sasamartlo-reforma-da-tanmdevi-politikuri-protseebi>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁶² ოცნების სასამართლოს ანატომია, ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/ge/blog/ocnebis-sasamartlos-anatomia>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁶³ იქვე.

⁶⁴ უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/uzenaes-sasamartlos-akhali-tavmjdomare/26911402.html>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

ფაქტობრივად „გაფორმდა“ კლანისა და მმართველი გუნდის ძალაუფლების შერწყმის პროცესი.⁶⁵

ამის შემდეგ განვითარებული პროცესები, დღემდე, კლანის მეშვეობით მართლმსაჯულების სისტემაში პოლიტიკური ძალაუფლების გამყარების მიზანს ემსახურება. 2015 წლიდან მოყოლებული, კლანის წევრები სხვადასხვა თანამდებობაზე ინიშნებოდნენ; 2017 წელს, მათვე დააკომპლექტეს განახლებული იუსტიციის უმაღლესი საბჭო; ნინო გვენეტაძე, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი წევრის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობდა, საკმაოდ უცნაურ ვითარებაში (ოფიციალური მიზეზი - ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა), თანამდებობიდან გადადგა.⁶⁶ 2019 წლის 12 დეკემბერს კი, საქართველოს პარლამენტმა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად უვადოდ განამწესა 14 პირი.⁶⁷ პროცესმა, რომელიც ამ დღეს წინ უძღოდა (მათ შორის სკანდალური 10-კაციანი სია) და საბოლოო გადაწყვეტილებამაც უფრო მეტად გააძლიერა მართლმსაჯულების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული კლანის გავლენები და ეს მნიშვნელოვანი ეტაპიც ვიწრო-პარტიულ ინტერესებს დაუქვემდებარა.⁶⁸

აქ ყურადსაღებია მოსამართლეთა არჩევის დროს „ფორმისა“ და „შინაარსის“ ურთიერთმიმართება, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველმაც გააკეთა აქცენტი. კერძოდ, ომბუდსმენის სპეციალურ ანგარიშში ვკითხულობთ: „*პროცედურებისა და კრიტერიუმების გაწერას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი. მას უნდა შეეძლოს არსებითად შეცვალოს გადაწყვეტილებების მიღების ის პრაქტიკა, რასაც ადგილი აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფარგლებში და უზრუნველყოს სამართლიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცედურები და კრიტერიუმები გამოყენებულ იქნება ფორმალური კანონიერების ხაზგასასმელად, უსამართლო გადაწყვეტილებების შინაარსის ცვლილების გარეშე.*“⁶⁹ ასევე ხაზგასასმელია, რომ სახალხო დამცველმა შესაბამისი ნორმების არაკონსტიტუციურად

⁶⁵ თუმცა, 2015 წლის ბოლომდე, ფრაგმენტულად ჯერ კიდევ ისმოდა მმართველი პოლიტიკური გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლის იმ ტიპის განცხადებები, რომელიც კლანთან ღია დაპირისპირების ნიშნებს ამჟღავნებდა. მაგალითად შეიძლება დასახელდეს 2015 წლის ბოლოს თეა წულუკიანის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ „იქ [სასამართლოში] არსებობს გარკვეული დაჯგუფებები. სინამდვილეში არის სისტემა, რომელიც, როგორც ამას სამი წელია ვამბობ, რეფორმებისადმი არის რეზისტენტული.“ სტუდია მონიტორის დასახელებული ფილმი, 05:58 წუთიდან.

⁶⁶ ოცნების სასამართლოს ანატომია, ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/ge/blog/ocnebis-sasamartlos-anatomia>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁶⁷ პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლე დაამტკიცა, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/413653/>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁶⁸ როგორ დააკომპლექტდა უზენაესი სასამართლო - მოკლე მიმოხილვა, EMC, 2019, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/uzenaesi-sasamartlos-dakomplektebis-erttsliani-protsesi-mimokhilva>, წვდომის თარიღი: 09.06.2020.

⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2019, გვ. 46-47, ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019100811095425887.pdf>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

ცნობის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა,⁷⁰ რომელმაც საქმე არსებითად განსახილველად მიიღო,⁷¹ თუმცა, ჯერჯერობით, ამ საქმეზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება კვლავაც გრძელდება.

უზენაესი სასამართლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები, მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის სამართლიან ფუნქციონირებაზე მისი განმსაზღვრელი ბუნების გამო, შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს და მკვეთრად შეამციროს კრიზისის დაძლევის შესაძლებლობები.

ძალაუფლების პოლიტიკური საფუძვლები

თუ 2004-2012 წლებში განვითარებული პროცესები შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც ძალაუფლების ერთი ველის (პოლიტიკური ხელისუფლება) გაფართოება და სრული დომინაცია სხვა აქტორებზე, 2012 წლის შემდგომი მოვლენები უფრო კომპლექსური შინაარსისაა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 2012-2013 წლები, პოლიტიკური ტრანსფორმაციის ეტაპია. ამ კომპონენტის მხედველობაში მიღება გარდამტეხია მართლმსაჯულების სისტემის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ანალიზისთვის. ეს ტრანსფორმაციული ეტაპი ხასიათდებოდა ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლიანობის აღდგენის, კანონის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მიღწევის პოლიტიკური ნარატივების წარმოებით.

როგორც უკვე ითქვა, ამ დროს განხორციელებულ რეფორმებსა და ნარატივებს, თან სდევდა სასამართლო სისტემაში უკვე არსებულ დომინანტურ ჯგუფთან მკვეთრი დაპირისპირებებისა და მოლაპარაკებების გზით ნიადაგის მოსინჯვის გარდამავალი პროცესები. ამ ეტაპზე სასამართლოს შიგნით გავლენიანი ჯგუფის ინტერესები უფრო მეტად გაიზარდა (მათ შორის თვითგადარჩენის ინსტინქტის გამო) და თვალნათლივ გამოჩნდა, რომ პოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილებამ ძალაუფლების ერთი ველის ნაცვლად ორი წარმოქმნა - პოლიტიკური ძალაუფლება და სასამართლოს შიგნით კორპორატიული ძალაუფლება. ცხადია, აქ კვლავაც უნდა აღინიშნოს, რომ ეს კორპორატიული ძალაუფლება არსებობდა 2012 წლამდე, თუმცა, რამდენადაც ის პოლიტიკურ ხელისუფლებასთან სიმბიოზში იმყოფებოდა, მთლიანობაში, ძალაუფლების ცალკე ველის მაფორმირებლად არ შეიძლება განვიხილოთ. იმ დროს, ის უფრო მეტად, პოლიტიკური ძალაუფლების შიშველი ინსტრუმენტი იყო.

⁷⁰ სახალხო დამცველი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის არაკონსტიტუციურობად ცნობას ითხოვს, 2019, ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/geo/191018050024siakhleebi/sakhalkho-damtsveli-uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-kandidatebis-sherchevis-tsesis-arakonstitutsiurad-tsnobas-itkhovs>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

⁷¹ სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის წესთან დაკავშირებით, 2019, ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/geo/191018050024siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-konstitutsiuri-sarcheli-uzenaesi-sasamartlos-mosamartleta-kandidatebis-sherchevis-tsestan-dakavshirebit>, წვდომის თარიღი: 10.06.2020.

„ქართული ოცნების“ მიერ, ერთი მხრივ სასამართლოს დამოუკიდებლობის ნარატივის წარმოება, მეორე მხრივ კი, კლანთან ურთიერთობის მოსინჯვის სხვადასხვა გზების ძიება, ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ ეს ნარატივი, პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესში, ძალაუფლებისა და ლეგიტიმაციის კრიზისების გადამფარავი ფასადისთვის იქმნებოდა. ქართული პოლიტიკური სისტემა ერთ-ერთი მაგალითია ისეთი სისტემებისა, რომლებიც უფრო ფართო სოციალური პოლიტიკების, საზოგადოებრივი ლეგიტიმაციისა და ხალხის რეალური ინტერესების უგულვებელყოფის პირობებში, ძალაუფლების პრეზერვაციის სხვადასხვა გზებს ეძებენ. ასეთი სისტემა მთლიანად მორგებულია პარტიული და პოლიტიკური ტრანსფორმაციების ვიწრო, ელიტური ინტერესებისთვის გამოყენების მიზანზე. ამ დროს, ტრანსფორმაციის ეტაპი თავისთავად მოიაზრებს ძალაუფლების განვრცობის შეუქცევად პროცესს. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად არსებობს საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიის მანძილზე იმგვარი ინსტიტუციური მოწყობები, მათ შორის მოსამართლეთა ერთპარტიული დანიშვნის შესაძლებლობები და დომინანტური ჯგუფების მიერ კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის ბერკეტები, რომ ყოველი ტრანსფორმაციული ეტაპი ძალაუფლების ხელახალი განვრცობის შესაძლებლობა იყოს.

ამ დაკვირვებით შესაძლებელია იმის თქმა, რომ ქართული მართლმსაჯულების მდგომარეობა დაახლოებით არის იმის მსგავსი, რასაც მიკერძოებული მართლმსაჯულების რეჟიმის თეორეტიკებისას შესაძლოა წავაწყდეთ. ამგვარი მდგომარეობის არსებობის საფუძველი კი პოლიტიკური სისტემის ბუნება და მისი ისტორიული განვითარების ლოგიკაა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ქართული პოლიტიკური განვითარება ელიტებზე მორგებული ძალაუფლების დაფუძნების ისტორიას ქმნის. ისტორიის ამ ნარატივში, ყოველ ახალ ხელისუფლებას მემკვიდრეობით ხვდება ძალაუფლების სხვადასხვა ფორმები/ველები, ასევე მემკვიდრეობით იღებს იმგვარ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოს, ფორმალური თუ არაფორმალური ზემოქმედების ისეთ მექანიზმებს, რომელიც მისი საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობებს უქმნის. თავის მხრივ, იმისათვის, რომ პოლიტიკური ძალაუფლება განმტკიცდეს, აუცილებელი ხდება ერთი მხრივ დემოკრატიულობის მეინსტრიმული ნარატივების ათვისება, მეორე მხრივ კი რეალური ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა. თუკი იდეალურ შემთხვევაში მეცნიერები მართლმსაჯულებაზე, როგორც დემოკრატიის განვრცობაზე საუბრობენ, ამგვარ რეალობაში მართლმსაჯულება პოლიტიკური ძალაუფლების განვრცობის მექანიზმია.

ხშირად, სწორედ ამგვარ პროცესებში იბადება სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის იდეაც. ეს მოხდა საქართველოშიც 2012 წლის შემდეგ. ქართული მართლმსაჯულება რეალურად არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს, მისი მზერა უფრო დიდი პოლიტიკური პროცესებისკენაა მიმართული, რადგან სწორედ ეს წყვეტს მის ადგილს ძალაუფლების გადანაწილების სისტემაში. ამ გაგებით, შემთხვევითი არ არის, რომ „მესამე ტალღის“ რეფორმების გაჭიანურების პროცესი 2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა, როცა სასამართლო პოლიტიკურად სენსიტიურ რამდენიმე საქმეს განიხილავდა.⁷²

⁷² ოლღა შერმადინი და თამთა კახიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

თავის მხრივ, მთელი ეს პროცესები სანახობის ელემენტითაა გაჯერებული, სადაც კლანი ძალაუფლების პრეზერვაციის ინსტრუმენტია. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ კლანური მმართველობა სასამართლოს შიგნით, გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა ახალი პოლიტიკური კლასის ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოვიდეს (როგორც ეს 2012 წელს მოხდა), თუმცა, საბოლოოდ, მისი მიზანი პოლიტიკურ ძალაუფლებასთან შერწყმაა, რადგან ის მუდმივი კონფრონტაციის პირობებში ვერ იარსებებს. წინააღმდეგობის ეტაპის გახანგრძლივება ერთნაირად არასასურველია ძალაუფლების ორივე ველისთვის. შეიძლება ითქვას, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მეტნაკლებად მიხვდა სასამართლოს შიგნით არსებული დომინანტური ჯგუფების არსებობის ამგვარ ლოგიკას, ხისტი ბრძოლების ნაცვლად მან კლანურობის ამ ბუნების ათვისება და მასთან სიმბიოზი დაიწყო, რადგან ეს ერთადერთი გზა იყო ძალაუფლების პრეზერვაციისთვის. ამის ნათელი დადასტურებაა 2016 წელს, ბიძინა ივანიშვილის მიერ ნათქვამი ფრაზა: „ადეიშვილის სისტემა ჩვენ შევინარჩუნეთ და მას მივეცი საშუალება თვითგადარჩენის და თვითგანწმენდის.“⁷³

ამდენად, ტრანსფორმაციის ეტაპი შესაძლოა ხასიათდებოდეს წინააღმდეგობით, თუმცა არსებული პოლიტიკური სისტემის ბუნება თავისთავად მიილტვის, რომ ეს წინააღმდეგობა აღმოფხვრას. ამ ფინალურ ეტაპს ჩვენ 2015 წლის შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან დღემდე ვაკვირდებით. ეს მოვლენები მიდის (ან უკვე მივიდა) ძალაუფლების სრული განვრცობისა და საბოლოოდ, ორიდან კვლავ ერთი ძალაუფლების ველის ფორმირებამდე. შემთხვევითი არც ის არის, რომ მთელ ამ პროცესებს თან სდევდა დომინანტური პოლიტიკური ნარატივი იმის თაობაზე, რომ ყველა საკანონმდებლო ცვლილება მოწოდებული იყო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და რეალური ავტონომიის მისაღწევად. დემოკრატიულობის ფასადი თავისი არსით პერფორმატიულია და ის „პური და სანახობის“ ძირძველი სტრატეგიის ნაწილია, რომელსაც არ გააჩნია რეალური, საზოგადოებაზე და პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული შინაარსი.

დასკვნა

მართლმსაჯულების სისტემის აღწერის პროცესი მრავალ შრეს მოიცავს, თუმცა, როცა საკითხი დამოუკიდებლობას, ავტონომიასა და სამართლიანობას შეეხება, ძალაუფლების კონცეფციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

2012 წლიდან მოყოლებული დღემდე, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ხელისუფლების ძირითადი პოლიტიკური ნარატივი, სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის იდეებს გულისხმობდა. მთელი პროცესი მოცული იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფრაზით, როგორც პოლიტიკური დაპირებით, რასაც „სამართლიანობის აღდგენა“ ეწოდა. ყველა ეს ნარატივი, საბოლოოდ, უკვე გადადგმული და სამომავლოდ გადასადგმელი პოლიტიკური და სამართლებრივი ნაბიჯებისთვის ლეგიტიმაციის მისანიჭებლად შეიქმნა. ეს ნაბიჯები, მთლიანობაში, პოლიტიკური ძალაუფლების განვრცობისა და გამყარების მიზანს ემსახურებოდა.

⁷³ სტუდია მონიტორის დასახელებული ფილმი, 06:05 წუთიდან.

ბოლო დროის ტრანსფორმაციულმა პროცესებმა ფარდა ახადა ქართული მართლმსაჯულების სისტემის რეალურ ბუნებას, რომელიც წლების განმავლობაში არსებული მანკიერი სოციალური და პოლიტიკური მიდგომების შედეგად გამოიწყო. საქართველოს მართლმსაჯულების სისტემას არ გააჩნია რაიმე მყარი ავტონომიური და დამოუკიდებელი შინაარსი, ის უფრო დიდი ძალაუფლებრივი სისტემების შემადგენელი ნაწილი და ელიტური ინტერესების მსახურების მექანიზმია. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულება განივთებულია და ის პოლიტიკური გაცვლის საგანს წარმოადგენს.

რამდენადაც ქართული მართლმსაჯულების სისტემა ერთგვარად ჩაკეტილი წრის ნაწილია, მისი გადარჩენის გზა შეუძლებელია ფრაგმენტულ საკანონმდებლო ცვლილებებზე გადიოდეს. ეს დაადასტურა კიდევ განხორციელებულმა ინსტიტუციურმა რეფორმებმა. არსებული პრობლემების უფრო ფართო პოლიტიკურ და ისტორიულ კონტექსტში წარმოჩენის მიზანიც სწორედ ის იყო, რომ პრობლემების გადაჭრაზე ფიქრის დროს სწორედ ეს კონტექსტები მივიღოთ მხედველობაში.

თუ მართლმსაჯულების გადარჩენის გზა არსებობს, ის აუცილებლად გულისხმობს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ლოგიკის ცვლილებას და ფუნდამენტურ, შინაარსობრივ ცვლილებებს. ამ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი კლანის გავლენიანი წევრებისგან სასამართლო სისტემის გათავისუფლება უნდა იყოს, თუმცა მხოლოდ ეს ვერ იქნება გამოსავალი, რადგან ის ვერ დააზღვევს მათი სხვა, შინაარსობრივად მსგავსი სახეებით ჩანაცვლების რისკებს.

მნიშვნელოვანია იმ ტიპის რადიკალური ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარდაქმნები, რომელიც გამორიცხავს როგორც პოლიტიკურ არენაზე, ისე სასამართლოს შიგნით გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების შესაძლებლობებს. ეს გულისხმობს დემოკრატიული, ინკლუზიური და კონსენსუსზე ორიენტირებული მექანიზმების დანერგვას.

კიდევ ერთი, და შესაძლოა ყველაზე მთავარი კომპონენტი, მართლმსაჯულების სოციალური როლი და იდეაა. როგორც სტატიაში გამოჩნდა, ქართული მართლმსაჯულება დიდწილად დომინანტური ჯგუფების ინტერესებზეა მორგებული, ე.ი. მის უპირველეს „დანიშნულებას“ ელიტების ლოიალობის მოპოვება წარმოადგენს. სასამართლო სისტემის ამგვარმა ფუნქციონირებამ აქცია ის ჩაკეტილ, მონოლითურ და კორპორატიულ ერთობად, სადაც აღარ დარჩა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის წუხილებზე რეფლექსიის სივრცე. მართლმსაჯულების ავტონომიურობის ერთ-ერთი ცენტრალური იდეა ის არის, რომ ის საზოგადოების ვიწრო, დომინანტური ჯგუფების ნების კარნახით არ ფუნქციონირებდეს. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია საზოგადოების საჭიროებების ირგვლივ მოსამართლეების ინდივიდუალური და კოლექტიური გაძლიერება, რათა გადაილახოს კორპორატივიზმის და ელიტების მსახურების ინტერესები და მძიმე გამოცდილება. როგორც ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს, „სასამართლოს დამოუკიდებლობის სისუსტე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს უქმნის საფრთხეს, მაშინ როცა სუსტი ავტონომია ძლიერებისა და პრივილეგირებულების სასარგებლოდ სუსტებსა და ღარიბებს ჩაგრავს.“⁷⁴

⁷⁴ Rachel E. Bowen, დასახელებული ნაშრომი, p. 831.

Bibliography

1. ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი და სხვები, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თბილისი, 2017;
2. ოლღა შერმადინი და თამთა კახიძე, კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბილისი, 2018;
3. კახა წიქარიშვილი, კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე, 2019;
4. ჰოვარდ ვერნი, გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივები საქართველოში, 2017;
5. თომას ჰამარბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში, 2013;
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ,“ სტრასბურგი, 2011;
7. სტუდია მონიტორის ფილმი „ჩინჩალადის კლანი – სასამართლო რეფორმის კრაზი,“ 2018;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2019;
9. Daniel M. Brinks and Abby Blass, Rethinking judicial empowerment: The new foundations of constitutional justice, 2017;
10. Rachel E. Bowen, Judicial Autonomy in Central America: A Typological Approach, 2013;
11. Ran Hirschl, The Political Origins of Judicial Empowerment through Constitutionalization: Lessons from Four Constitutional Revolutions, 2000;
12. Pilar Domingo, Novel Appropriations of the Law in the Pursuit of Political and Social Change in Latin America, 2018;
13. Consultative Council of European Judges (CCJE), "The position of the judiciary and its relation with the other powers of state in a modern democracy," 2015.

ელ. რესურსები:

14. <https://emc.org.ge/>
15. <https://www.transparency.ge/>
16. <http://coalition.ge/>
17. <http://www.ombudsman.ge/>
18. <https://netgazeti.ge/>
19. <https://www.radiotavisupleba.ge/>
20. <http://gov.ge/>
21. <https://wordhistories.net/>
22. <https://spartacus-educational.com/>